

398  
C-194

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნიკოლოზ ლალიაშვილი

საკრალური და პროფანული ქართულ ფოლკლორში

10. 01. 09. - ფოლკლორისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფოლკლორისტიკის  
კათედრა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ზურაბ კიკნაძე,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
(10.01.09)

ოფიციალური ოპონენტები  
1. **თემურ ჯავაღნიშვილი,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
(10.01.09)

2. **ამირან არაბული,**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი (10.01.09)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 8 აპრილ  
15:30 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო  
საბჭოს (P10.10.№4) სხდომაზე (მისამართი: 0128, თბილისი, ი.  
ჭავჭავაძის გამზირი №1)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ-ის სამეცნიერო  
ბიბლიოთეკაში (მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 28.02

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

/ბ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. მიუხედავად იმისა, რომ საკრალური და  
პროფანული კატეგორიების სხვადასხვა სახის ანალიზის შემცველი  
შრომები და მიდგომები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაინც რჩება  
ზოგიერთი გასარკვევი საკითხი. კერძოდ: ნაკლები ყურადღება ეთმობა  
საკრალურისა და პროფანულის ინვერსიულ თვისებებს. საკრალური  
და პროფანული ფენომენების ზეგავლენა აღმოსავლეთ საქართველოს  
მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებების მითოპოეტური სამყაროს  
ორგანიზებაზე დამატებით დამუშავებას მოითხოვს. ასევე, დამატებით  
საკვლევ თემას წარმოადგენს საკრალურისა და პროფანულის ტრანს-  
ფორმაციის, გარდაქმნის საკითხიც. ნაშრომი ფოკუსირებულია სწორ-  
ედ ამ საპრობლემო საკითხებზე, რაც განაპირობებს მის აქტუალობ-  
ას.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია საკრალუ-  
რი და პროფანული კატეგორიების როლის, ფუნქციებისა და ძირითა-  
დი თვისებების დადგენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალ-  
ხურ ზეპირსიტყვიერებასა და რელიგიურ ცხოვრებაში.

მეცნიერული სიახლე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა  
ზეპირსიტყვიერებაში საკრალური და პროფანული კატეგორიების რო-  
ლი ცალკე, საგანგებო კვლევის საგანი არასოდეს ყოფილა. ნაშრომის  
მეცნიერული სიახლეა კვლევის ორიენტირება ამ საკითხზე და საკ-  
რალური და პროფანული ფენომენების კომპლექსური შესწავლა აღ-  
მოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორულ და ეთნოგრაფი-  
ულ მასალებზე დაყრდნობით. საკრალურის ამბივალენტური ბუნების  
დადასტურება ტრადიციული საზოგადოებების რელიგიურ და სოცია-  
ლურ ცხოვრებაში, საკრალური და პროფანული კატეგორიების რო-  
ლის განსაზღვრა სამყაროს მითოპოეტური მოდელის კონსტრუქცია-  
ში. მითოლოგიური გადმოცემების

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერ-  
ტაციო ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია ქართული ხალხური სი-  
ტყვიერებისა და მითოლოგიის სალექციო კურსში. აგრეთვე, - ფოლ-  
კლორის სპეცკურსებში. ნაშრომში მოპოვებული კვლევის შედეგები  
ხელს შეუწყობს ქართული მითოლოგიისა და, კერძოდ, საკულტო  
ტექსტების შემდგომ კვლევა-ძიებას. ნაშრომი საინტერესო იქნება ქა-  
რთული ფოლკლორით, მითოლოგიითა და რელიგიის ისტორიით დაი-  
ნტერესებული მკითხველისთვის, სტუდენტებისთვის.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციაზე. სადისერტაციო ნაშრომი  
შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე. მიზე წინასწარი

1761-